საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრები: კონსტანტინე გელაშვილი, ანა ლორია, ანა ხურციძე, მარიკა არევაძე, ქეთევან უტიაშვილი, ხათუნა ჩხაიძე, ინგა სეხნიაშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, არჩილ ჩოფიკაშვილი

საჩივრის ავტორი - ნ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 122/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. თ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და თანხის დაბრუნება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. მ.-მ ადვოკატ ლ. თ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, ვინაიდან საქმეში არ იყო შესაბამისი მტკიცებულებები. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით. 2017 წლის შემოდგომაზე, რომელსაც მომსახურებისთვის გადაუხადა 200 ლარი. ნ. მ.-ს განმარტებით, მოცემულ საქმეზე მან 500 ლარის ოდენობის ხარჯი გასწია, რაც გამოწვეული იყო რაიონიდან თბილისში ხშირი ჩამოსვლით და საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებებში მისვლით.

ადვოკატი დაჰპირდა, რომ საქმეს მოუგვარებდა, თუმცა მას კლიენტისთვის სასარგებლო მოქმედებები არ განუხორციელებია.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. თ.-მ შეადგინა სააპელაციო საჩივარი, მაგრამ სააპელაციო საჩივარს არ დაურთო შესაბამისი მტკიცებულებები.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ შედგენილ სააპელაციო საჩივარზე დაადგინა ხარვეზი, რომლის მიხედვითაც მათ დაევალათ წარედგინათ: (1) დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი, რის საფუძველზეც ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას; (2) სააპელაციო საჩივრის ელექტრონული ვერსია და (3) განახლებული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზიდან. ხარვეზის გამოსასწორებლად ადვოკატს განესაზღვრა 7 დღე, რომელიც ადვოკატის თხოვნის შესაბამისად, გაგრძელდა დამატებით 7 დღით.

1.5 სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესახებ საჩივრის ავტორმა სააპელაციო სასამართლოში მისვლის დროს გაიგო. საჩივრის ავტორი სთხოვდა ადვოკატს დადგენილი ხარვეზის შევსებას. ადვოკატმა იცოდა, რომ ის იყო სოციალურად დაუცველი, თუმცა არ წარადგინა საბუთი. ადვოკატმა არც დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა და არც სააპელაციო საჩივრის ელექტრონული ვერსია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

1.6 ნ. მ.-ს განმარტებით, ადვოკატი ლ. თ. ჰპირდებოდა, რომ უზენაეს სასამართლოში მოაგვარებდა პრობლემას, თუმცა არც უზენაეს სასამართლოში განუხორციელებია რაიმე მოქმედება, რის გამოც სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე წარმოება დასრულდა.

1.7 საჩივრის ავტორმა მოითხოვა ადვოკატ ლ. თ.-სთვის საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეწყვეტა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განმარტებით, ნ. მ.-მ მას მიმართა 2018 წლის თებერვალ-მარტის თვეში. საჩივრის ავტორი უკმაყოფილო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით, საჩივრის ავტორმა მიიღო სადავო ქონების ½ ნაწილი, ხოლო ½ ნაწილი კი მიიღო მისმა რძალმა. ნ. მ.-ს ჰქონდა სურვილი მისი რძალი უღირს მემკვიდრედ ყოფილიყო ცნობილი და ითხოვდა რძლის კუთვნილი წილის გაუქმებას. ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა საჩივრის ავტორს, რომ უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე მოთხოვნას სასამართლო არ დააკმაყოფილებდა მტკიცებულებათა არასებობის პირობებში, თუმცა ნ. მ. ფიქრობდა, რომ ასეთი მტკიცებულებები ჰქონდა.

2.2 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ნ. მ.-ს მოთხოვნით შეადგინა სააპელაციო საჩივარი, რომელიც საჩივრის ავტორმა თავად წარადგინა. მას შემდეგ, რაც ადვოკატი გაეცნო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ, რომელიც მოიცავდა დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის შედგენას და მტკიცებულებების დართვას სთხოვა ნ. მ.-ს, რომ წარმოედგინა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესავსებად შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ნ. მ.-მ არ განახორციელა. საჩივრის ავტორმა მასთან წარადგინა მხოლოდ

საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი რეაგირების ოქმები, რასაც საქმესთან შემხებლობა არ ჰქონდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან მოითხოვა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელება, ვინაიდან ნ. მ.-მ ვერ წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია დადგენილ ვადაში. ხარვეზის შევსება სასამართლოს მიერ ვადის გაგრძელების შემთხვევაშიც ვერ მოხდა, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა. აღნიშნულ განჩინებაზე ადვოკატმა ლ. თ.-მ წარადგინა კერძო საჩივარი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა სურვილი ნ. მ. აეყვანა კლიენტად, ვინაიდან საჩივრის ავტორს სხვაგვარად ესმის კანონი, თავად კი გააზრებული აქვს ადვოკატის მდგომარეობა არსებულ კანონთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ლ. თ.-მ საჩივრის ავტორის მოთხოვნით, მისი რძლის მოქმედებების შესახებ დაწერა არაერთი საჩივარი სხვადასხვა უწყებებში წარსადგენად.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ნ. მ. მის სამუშაო ოფისში მივიდა 2018 წლის 23 აგვისტოს და მოსთხოვა მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანით დაემუქრა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ნ. მ.-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძლობის გამო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 11 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აღნიშნა, რომ ადვოკატი ლ. თ. ვალდებული იყო ნ. მ.-ს ინტერესები წარმოედგინა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ადვოკატმა არ შეავსო მის მიერ შედგენილ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი ვადაში, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ შეიძლება სავარაუდოდ დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების (შემდგომში „დებულება“) 36-ე მუხლით და 2019 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, მოცემული დისციპლინური საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

5.1. 2017 წლის 11 დეკემბერს ნ. მ.-მ უფლებამოსილება მიანიჭა ადვოკატ ლ. თ.-ს გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაეცვა მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- მინდობილობა N171432201.

5.2. ადვოკატმა ლ. თ.-მ ნ. მ.-ს შეუდგინა სააპელაციო საჩივარი, რომელიც 2018 წლის 08 იანვარს, საჩივრის ავტორმა წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- სააპელაციო საჩივარი.

5.3. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 30 იანვრის განჩინებით, ნ. მ.-ს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის, საჩივრის ელექტრონული ვერსიისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან განახლებული ამონაწერის წარმოდგენა. აპელანტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 7 დღე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განჩინება Nxx/xxx-18.

5.4. 2018 წლის 21 თებერვალს აპელანტის წარმომადგენელმა ლ. თ.-მ წერილობითი განცხადებით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განჩინებით ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება 5 დღით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 თებერვალის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 7 დღით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის განჩინება Nxx/xxx-18.

5.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინებით, ნ. მ.-ს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინება Nxx/xxx-18.

5.6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინება ადვოკატმა ლ. თ.-მ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- კერძო საჩივარი;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის განჩინება Nას-xxx-xxx-2018.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროს, ადვოკატმა ლ. თ.-მ საჩივრის ავტორს არ გაუწია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი სამართლებრივი დახმარება, რის გამოც ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „აპეკ“), მუხლი 8.5).

7.2. კლიენტი ადვოკატთან ურთიერთობას იწყებს ადვოკატის ცოდნის და გამოცდილების გამო, მაშინ როდესაც თავად არ შეუძლია აწარმოოს საქმე კვალიფიციურად და დაიცვას თავისი ინტერესები შესაბამის ორგანოებში. კლიენტის ადვოკატთან მიმართვის საფუძველია გარკვეული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა. საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმების შემდეგ კლიენტი მოელის, რომ ადვოკატი ამ მდგომარეობის შეცვლის მიზნით განახორციელებს შესაბამის მოქმედებებს, რომლის განხორციელების ვალდებულება ადვოკატს ეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და აპეკ-ის ნორმებით.

7.3. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით მოიპოვოს

საქმისათვის მნიშნელოვანი მტკიცებულებები და წარმოადგინოს კლიენტი სხვადასხვა ორგანოსა თუ დაწესებულებაში, მათ შორის წარადგინოს დასაბუთებული და ფორმალურად გამართული სააპელაციო საჩივარი სასამართლოში. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა. ადვოკატის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა იწვევს ადვოკატის მიმართ დადგენილი ეთიკური მოთხოვნების დარღვევას, რაც თავის მხრივ ტოვებს კლიენტს დაუცველს და ეჭვქვეშ აყენებს ადვოკატის პროფესიის სანდოობას.

7.4. „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №066/10).

7.5. ეთიკის კომისიამ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ადვოკატის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, თუ ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდება ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შშესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, ასევე აპეკის შესაბამისი ნორმების დარღვევა.

7.6. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ლ. თ.-მ ვალდებულება აიღო ნ. მ.-ს წინაშე წარედგინა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, თუმცა ადვოკატმა არ შეავსო მის მიერ შედგენილ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი ვადაში, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

7.7. აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განჩინებით ნ. მ.-ს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის, საჩივრის ელეტრონული ვერსიისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან განახლებული ამონაწერის წარდგენა. სააპელაციო საჩივრის დასაბუთება და საჩივრის ელექტრონული ვერსიის წარდგენა ადვოკატის ვალდებულებაა. ასევე ადვოკატის მოვალეობაში შედის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან განახლებული ამონაწერის წარდგენა, რაც ადვოკატმა ლ. თ.-მ არ შეასრულა. საქმეში წარმოდგენილი, მტკიცებულებების მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატმა ლ. თ.-მ არც დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი და არც საჩივრის ელექტრონული ვერსია არ წარადგინა სასამართლოში. შესაბამისად, ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ დარღვეულია კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით წარუდგენლობის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ ვერ იმსჯელა სადავო სამართლებრივ საკითხზე, რისი იურიდიული ინტერესიც გააჩნდა კლიენტს - ნ. მ.-ს.

7.8. დისციპლინური გადაცდომისას ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს კომისიამ „უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №098/17).

7.9. „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-15).

7.10. ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში იღებს არსებულ პრაქტიკას. კერძოდ, საქმეზე, სადაც ადვოკატმა არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ გამოიყენა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი. კომისიამ განმარტა, რომ „მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი დაუდევრად მოეკიდა საკუთარ პროფესიულ საქმიანობას და ამ კუთხით არ იყო მომართული კლიენტის ინტერესების მინიმუმ საფრთხის ასაცილებლად, რის გამოც არ იყო კეთილსინდისიერი. გარდა ამისა ადვოკატის პროფესიული უმოქმედობა - ფაქტიურად არ გასაჩივრება შემხებლობაშია ადვოკატის კვალიფიციურობასთანაც, რამეთუ ასეთი პროფესიული უმოქმედობა, პრინციპით -"არ დააზიანო" მიუთითებს ადვოკატის არაკვალიფიციურ ქცევაზე, რაც შემადგენელია არაპროფესიული ქცევისა. ამიტომ ნიშანდობლივია პროფესიული რეგულიაციის მიზანი - დაიცვას კლიენტის ინტერესი და პროფესია” (ეთიკის კომისიის 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №024/14).

7.11. კომისია ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ მანამდე რაიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გამოყენებული არ ყოფილა, ასევე არ დასტურდება ადრე მის მიერ რაიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რაც ადვოკატის მიმართ დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რაც უზრუნველყოფს ადვოკატის მხრიდან პროფესიული ვალდებულებების გათვიცნობიერების ამაღლებას, რომელიც თავისი შინაარსით შეიცავს რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით და ის არ უზღუდავს ადვოკატს საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებას. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბარდება პირადად.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ა), 35-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 2.5, მე-19, 39-ე, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №122/18 ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

გადაწყვეტილებას ერთვის კომისიის წევრების ქეთევან უტიაშვილისა და ანა ლორიას განსხვავებული მოსაზრება.

კომისიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ანა ლორია/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კომისიის წევრი /ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კომისიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრების
ანა ლორიას და ქეთევან უტიაშვილის
განსხვავებული აზრი
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №122/18

1. წარმოგიდგენთ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს ეთიკის კომისიის მიერ 2019 წლის 10 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ლ. თ.-სათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე (საქმე №122/18), რომელიც უკავშრდება დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებულ ზომას.

2. პირველ რიგში განვმარტავთ, რომ სრულად ვიზიარებთ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის დადგენის ნაწილში, თუმცა მიგვაჩნია, რომ მოცემული გადაცდომის სიმძიმიდან და პროფესიისადმი მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, ადვოკატს შეეფარდა არათანაზომიერი და პრაქტიკასთან შეუსაბამო დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე.

3. მოცემულ საქმეში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომისა და გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობის საკითხი.

4. ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 2.5). „მიყენებულ ზიანში“ იგულისხმება, არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის მიმართ მიყენებული ზიანი, არამედ, ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებული ზიანი.

5. „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის..., შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

გასაჩივრების უფლების წართმევა, როგორც ზიანი

6. ადვოკატ ლ. თ.-ს არაკეთილსინდისიერმა და არა შემთხვევითმა ქმედებებმა კლიენტში უსამართლობის განცდა გააჩინა, რადგან მას არ მიეცა საშუალება ამოეწურა დავის ყველა შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი დადგებოდა ზემდგომ ინსტანციებში. კლიენტის მოსაზრებით უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის წართმევა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, როგორც კლიენტს, ასევე ზოგადად ადვოკატის პროფესიას. აღნიშნული

კი გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

ადვოკატის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით

7. დისციპლინურ გადაცდომაზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის შერჩევისას გასათვალისწინებელია, ასევე, ადვოკატის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით. ადვოკატი ლ. თ. ბოლომდე ვერ აცნობიერებს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. ადვოკატმა ხარვეზის შეუვსებლობის მიზეზად თავად კლიენტი დაასახელა და განმარტა, რომ კლიენტს უნდა წარედგინა მტკიცებულებები და რადგან კლიენტმა არაფერი მიაწოდა ადვოკატს, იმიტომ ვერ შეავსო მან სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზი მითითებულ ვადაში. კლიენტს არ ევალება დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის დაწერის ვალდებულება. ამ მომსახურების მიღებისათვის კლიენტი უთანხმდება ადვოკატს, რადგან სწორედ ადვოკატს გააჩნია სათანადო ცოდნა ამ სფეროში. ხოლო თუ ადვოკატი მაინც გადაწყვეტს წარმომადგენლობას, ის ვალდებულია შეადგინოს დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი.

8. ადვოკატს არ წარუდგენია დოკუმენტები, რაზედაც ხარვეზი დაუდგინეს, რადგან, თავად მისი განმარტებით, „აზრი არ ჰქონდა“. განხილვის სხდომაზე გაკეთებული განმარტებით, რომ დასაბუთებული სარჩელის წარდგენას „აზრი არ ჰქონდა“, აშკარაა, რომ ადვოკატი ლ. თ. ვერ აცნობიერებს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმეს, მას შემთხვევით კი არ გაუშვია გასაჩივრების ვადა, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, უსაფუძვლოდ მიიჩნია საჩივარი და არ შეავსო ხარვეზი, რამაც კლიენტს დააკარგვინა გასაჩივრების შესაძლებლობა. შესაბამისად, ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელი იყო ადვოკატ ლ. თ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას.

თანმიმდევრული პრაქტიკა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წინაშე ყველა ადვოკატის თანასწორობა

9. ეთიკის კოდექსის ერთ-ერთი ღირებული მიზნის - საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავების მისაღწევად, მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიამ უზრუნველყოს თანმიმდევრული პრაქტიკისა და ყველა ადვოკატისათვის თანასწორი გარემოს შექმნა.

10. გამოყენებული სახდელის პროპორციულობის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიის არსებული პრაქტიკის გათვალისწინების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ასევე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ „კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

11. მოცემულ საქმეზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ნაწილში მნიშვნელოვნად განსხვავდება ეთიკის კომისიის აქამდე არსებული პრაქტიკიდან.

12. ანალოგიურ საქმეზე, სადაც ადვოკატმა არასაპატიო მიზეზით გაუშვა საკასაციო საჩივრისათვის დადგენილი ვადა და კლიენტს წაართვა გასაჩივრების უფლება, განხილვის კოლეგიამ ადვოკატის მიმართ გამოიყენა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #020/15). მოცემულ საქმეზეც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა მხოლოდ კანონის 5(ა) და კოდექსის 8.5 მუხლების დარღვევა - ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება.

13. ასევე გაფრთხილება ჩაითვალა თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ანალოგიურ საქმეზე, სადაც ადვოკატმა გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა და ამის შესახებ არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #080/13). ამ შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან დადასტურებულად ჩაითვალა ორი სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენა - არაკვალიფიციური/არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობა და ინფორმაციის მიუწოდებლობა.

14. არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი მომსახურებისათვის, სადაც ადვოკატმა არ წარადგინა შეგებებული სარჩელი და ზიანი მიაყენა კლიენტის სამართლებრივ ინტერესს, ეთიკის კომისიამ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით თანაზომიერი პასუხისმგებლობის ფორმად ჩათვალა ყველაზე მძიმე სახდელი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #055/12). ამ საქმეში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისიამ, მხედველობაში მიიღო ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება. სახდელის პროპორციულობის დასაბუთებისათვის, ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ის „ზიანი, რაც კლიენტს მიადგა, ასევე ზიანი, რაც ადვოკატმა მიაყენა პროფესიას, რადგან ეთიკური ვალდებულებების დაცვა, არა მხოლოდ კონკრეტული პირის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობისა, და ზოგადად, ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით განმსჭვალავს საზოგადოებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #055/12).

15. შესაბამისად, ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელებისას, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით, უმეტეს გადაწყვეტილებებში, გამოყენებულია გაფრთხილება, როგორც თანაზომიერი სახდელის ფორმა.

16. მოცემულ საქმეზე, ადვოკატ ლ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის შერჩევისას გასათვალისწინებელი იყო ადვოკატის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმე, ზიანი, რაც გასაჩივრების უფლების წართმევით მიადგა კლიენტს, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომის

მიმართ და ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის გათვალისწინებით, ადვოკატ ლ. თ.-სთვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო უფრო მძიმე პასუხისმგებლობის ფორმა.

17. შესაბამისად, ვერ დავეთანხმებით ეთიკის კომისიის წევრების მიერ გამოყენებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რადგან ის აშკარად არათანაზომიერია ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით. მოცემულ საქმეზე ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ, ნაცვლად დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებისა, უნდა გამოყენებულიყო უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ფორმა - სახდელი გაფრთხილების სახით.

ანა ლორია

ეთიკის კომისიის წევრი

ქეთევან უტიაშვილი

ეთიკის კომისიის წევრი